ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი #2

ქ. ონი 9. 02. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გივი მეტრეველი.

სხდომას კომისიის 11 წევრიდან ესწრებოდა 8 წევრი: გივი მეტრეველი, ბესიკი მაისურაძე, მერაბ ბიჭაშვილი, რევაზ საბანაძე, ნონა მაისურაძე, ემზარ საბანაძე, ბიძინა ყიფიანი, ნინო გობეჯიშვილი.

არ ესწრებოდნენ - როსტომ ლობჯანიძე, ზურაბ ბენდიანიშვილი, გელა მეტრეველი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განხორციელებული (დასრულებული და დაუსრულებელი) ინფრასტრუქტურული პროექტების მდგომარეობის შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

2. 2022 წელს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განხორციელებული (დასრულებული და დაუსრულებელი) ინფრასტრუქტურული პროექტების მდგომარეობის შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განხორციელებული (დასრულებული და დაუსრულებელი) ინფრასტრუქტურული პროექტების მდგომარეობის შესახებ და განაცხადა, რომ აღნიშნულ პერიოდში მუნიციპალიტეტში განხორციელდა 138 ინფრასტრუქტურული პროექტი, აქედან ათი პროექტი ვერ დასრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და დარჩა მიმდინარედ. დასრულებული პროექტების თითქმის 75% არ იქნა დასრულებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ

მიწოდების პირველად ვადებში, რაც უარყოფითად აისახა რიგი პროექტების ხარისხზე და შესაბამისად სასურველი შედეგები არ იქნა მიღებული. გამომდინარე აქედან, მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა ღრმა და საფუძვლიანი გაანალიზება იმისა თუ რა ეტაპზე იქნა დაშვებული შეცდომები.

აზრი გამოთქვეს: ნ. მაისურაძემ აღნიშნა, რომ უმეტესად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია არასრულყოფილია.

რ. საბანაძემ განაცხადა, რომ არასრულყოფილად ხორციელდება საზედამხედველო სუბიექტების მიერ პროექტების მიმდინარეობის კონტროლი.

მოისმინეს: 2. ინფორმაცია 2022 წელს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია 2022 წელს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს განსახორციელებელი პროექტები შერჩეულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე. (განსახორციელებელი პროექტების ნუსხა თან ერთვის) სასურველი შედეგის მისაღებად საჭიროა, პროექტების მიმდინარეობის პროცესში შესაბამისი საზედამხედველო სუბიექტების მიერ ყოველდღიურ რეჟიმში ხდებოდეს მიმდინარე სამუშაოების კონტროლი.

გივი მეტრეველი

კომისიის თავმჯდომარე

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

2022 წ. 9 თებერვალს გაიმართა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა. კომისიამ სხდომაზე განიხილა საკითხები:

1.ონის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განხორციელებული (დასრულებული და დაუსრულებელი) ინფრასტრუქტურული პროექტების მდგომარეობის შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

2. 2022 წელს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი

მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართულმა სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა-მუნიციპალიტეტის ეკონომიური განვითარების, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების.

2021 წელს ონის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა ას ოცდათვრამეტი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულებამ შეადგინა 17 428 000 ლარი.

განხორციელებული ას ოცდათვრამეტი ინფრასტრუქტურული პროექტიდან ათი პროექტი ვერ დასრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და დარჩა მიმდინარედ. დასრულებული პროექტების თითქმის 75% არ იქნა დასრულებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიწოდების პირველად ვადებში, რაც უარყოფითად აისახა რიგი პროექტების ხარისხზე და შესაბამისად სასურველი შედეგები არ იქნა მიღებული. ხშირი იყო შემთხვევები მიწოდების ვადების გაზრდის, რისი დასაბუთებაც მყარი არგუმენტებით არ ხდებოდა, რამაც გარკვეული უარყოფითი ასახვა ჰპოვა პროექტების ჯეროვნად და ხარისხიანად შესრულებაზე. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა, ღრმა და საფუძვლიანი გაანალიზება იმისა თუ რა ეტაპზე იქნა დაშვებული შეცდომები: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების, მომსახურების მიმწოდებლის

შერჩევის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თუ საზედამხედველო სუბიექტების არასათანადო მომსახურების დროს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შენიშვნები, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი არასათანადოდ და არაჯეროვნად შესრულებული პროექტების რაოდენობა, რაც გააუმჯობესებს ინფრასტრუქტურის მართვის სისტემას და ხელს შეუწყობს ფულადი რესურსების ეფექტურად გამოყენებას.

გივი მეტრეველი

კომისიის თავმჯდომარე